



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება



MES 0 22 0000677209



21/06/2022

**სსიპ - კოლეჯი „ბლექსის“ მიერ
„ნამცხვრებისა და ტორტების ცხობა - დეკორატიული გაფორმება“ პროფესიული მომზადების
პროგრამის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის თაობაზე ადმინისტრაციული
წარმოების შეწყვეტის შესახებ**

სსიპ - კოლეჯი „ბლექსის“ მიერ, 2022 წლის 27 მაისს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი), ელექტრონული სისტემით (qms.eqe.ge) წარმოდგენილი იქნა განაცხადი (განაცხადის ID 01376) პროფესიული მომზადების პროგრამის „ნამცხვრებისა და ტორტების ცხობა - დეკორატიული გაფორმება“ ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის შესახებ, ასევე, პროფესიული მომზადების პროგრამის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის თაობაზე განსაზღვრული საფასურის გადახდის ქვითარი.

სსიპ - კოლეჯი „ბლექსის“ მიერ 2022 წლის 9 ივნისს მოთხოვნილ იქნა პროფესიული მომზადების პროგრამის პროგრამის „ნამცხვრებისა და ტორტების ცხობა - დეკორატიული გაფორმება“ ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „ბლექსის“ (ს/კ: 245610398) „ნამცხვრებისა და ტორტების ცხობა - დეკორატიული გაფორმება“ პროფესიული მომზადების პროგრამის (განაცხადის ID 01391) ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციასთან დაკავშირებით.
2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ

